

ბაზონი ღირსი:			
თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10	6	6
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ივერიის

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

რედაქციის მისამართი

ბაზონის დასაბარებლად

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვა გამოერტ. საზოგადოების კანცელარიას ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხედზე—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-გამყოფი განკარგვის გამგეობა

ამითი აცხადებს, რომ ამ მიმდინარე ნახევარ წლიდან ბანკი სესხს აძლევს 4 1/2% გირავნობის ფურცლებით, ისევე, რომ შესესებულმა სესხად აღებული ფულისა ყოველ ექვს თვეში უნდა გარდასხდეს:

I. თუ სესხი ქალაქის მამულის გირავნობაზე აღებული 38 წლითა და 4 თვით:

- 1) სარგებელი ფულისა 2 1/4%
- 2) თავისი გარდასახდელი 1 1/2%
- 3) ბანკის მართვა-გამგეობის ხარჯად 3/8%

სულ 3 1/8%

II. თუ სესხი სოფლის მამულის გირავნობაზე აღებული 66 წლითა და 2 თვით:

- 1) სარგებელი ფულისა 2 1/4%
- 2) თავისი გარდასახდელი 1 1/8%
- 3) ბანკის მართვა-გამგეობის ხარჯად 3/8%

სულ 2 3/8%

ბანკის განკარგვის თავისი მოვალეობად მიიჩნია ამას დასმინოს, რომ სესხის 4 1/2% გირავნობის ფურცლებით შეიძლება გაცემულ იქნას დანარჩენ დაქსეპული ვადითაც, მხოლოდ, ისევე, რომ შესაფერად შეცვლილი იქნება რაოდენობა თავისი განსახტუმრებელ პროცენტისა. (3—ნ.—2)

მკურნალი-ქალი. ა. ა. რუდეგა. 10 1/2—11 1/2 საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყველის აუტრის.

ზ. ა. ბაზანასაძე. — დილის 11 1/2—12 ს. ქალთა სენით. ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაშვილი. 1—1 1/2, საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ბ. გ. გურგა. 1 1/2—2 1/2, ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ. სადამოკებით:

გ. მ. მახვილაძე. — 6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიაძე. — 6 1/2—7 საათ.

ტ. ა. რუდეგა — სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; არითმეთის უფოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დაიქვეყნა საქართველოს დემოკრატიული რევოლუციისა და თავისუფლებისათვის ბრძოლისათვის. Первая частная лечебница Д-ра Навасардяна. Тифлиς, противъ памяти. Воронцову.

(7)

პეილის პეივი ა. ე. სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დან 2-მდე და ნაშუადღევის 5 დან 7-მდე. მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—3)

ახალი ამბავი

25-ს აგვისტოს ქ. ბაქოში მოხდა მათი იმპერატორებითი უმალესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე.

კავკასიის მთავარ მართებელის კანცელარია კოჯორიდან გუშინ ჩამოვიდა ტფილისში.

28 აგვისტოს მართლ-მადიდებელი ქართველი ეკლესია დღესასწაულობს ხსენებას წმ. მოწამე შუ. შანიკისა, რომლისაც წმიდა ნაწილები განისვენებს ქალაქ ტფილისს, მერტების ეკლესიაში. ამიტომ დღეს, 27 აგვისტოს, ვისკოპოსი ლეონიდი გარდაიხდის ღამისთევით ლოცვას, ხოლო პარასკევს, 28 აგვისტოს, საქართველოს ექსარქოსი ფლამიანე სწირავს და გარდაიხდის პარაკლის მეტეხის ეკლესიაში. 27 და 28 აგვისტოს მეტეხის ეკლესია ღია იქნება მთელს დღეს და მსურველთ თავისუფლად შეუძლიანთ თავიან სცენ შუანიკის წმ. ნაწილებს.

გუშინ, 26 აგვისტოს, ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ დამტკიცებულ იქნა ქალაქის საბჭოს დადგენილება ქუჩების დაწმენდა და სუფთავების შესახებ, ე. ი. იმის შესახებ, რომ ქუჩები ქალაქის ნაცვ-

გამოი-იქცოს კურსიდან, როგორც მეთ ბარგი? ერთი ორი ექსტემპორალია ან ოთხიოდე ამიდანა რომ არ დასწეროს ბაღმა, რა ისეთი ზარალი მიეცემა ყმაწვილის განვითარებას? განა იმაშია ხსნა და შეგულა... ექსტემპორალია და ლაგორითმებით-კი არ იცხოვრებს მოსწავლე და მომავალი „კაცი“, არამედ ცოცხალის სიტყვით, რომელიც გულსა ხვდება, სულს აპოხიერებს და უსურათებს სამშობლოს; ერთი სიტყვით, რომელიც ჩააფიქრებს ქაბუკს თავის მოვალეობაზე, ჩაუნერავს სურვილს საზოგადოების სასარგებლოდ შრომისა და არა მარტო თავისი კუჭისათვის დეაქლისას...

პროგრამმა საშუალო სასწავლებლისათ, ამბობს ავტორი, მოკლებულია ცოცხალ, დროს შესაფერ მასალას. ყმაწვილები იძულებულნი არიან დღე-ღამე განყენებულ აზრთა მორევში ტრიალს; იძულებულ არიან დეკონ და იზებრონ „მკვდარი“ ენები, მათი ფორმულები, გრამატიკული კანონები; ხრონოლოგიები წარსულის ცხოვრებისა. ახალგაზდა და ნორჩი აზრი მოსწავლისაკი საზრდოს თხოულობს, დროის შესაფერ მასალას; ეს არის მიზეზი, რომ სტუდენტთა შორის ხშირად ათასი რამ მოხდება ხოლმე. იმათ არა აქვთ ჩანერგილი ის აზრი, რომ სასარგებლო, ღირსეული და აუცილებელი

ლად სახლის პატრონებმა დაასუფთაონ ხოლმე. მთავრობას არ შეუწყნარებია მხოლოდ ის დადგენილება საბჭოსი, რომლის ძალითაც ქუჩები უნდა დაასუფთავონ იმათაც, ვინც დასაუფლებელ გარდასახდის არ იხდის. ამ საგნის გარდაწყვეტა ჯერ ჯერობით გადადებულ იქნა.

სასამართლო უწყებაში ლაპარაკია აღმრული იმის შესახებ, რომ კავკასიის მხარეში მომრიგებელ მასამართლები და მათნი თანამემწენი ადგილობრივ მცხოვრებელთაგან იქმნენ დანიშნულნი.

ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველის თანამემწეს ბ-ნ პავლოვსკის ჰნიშნავენ შიდა რუსეთის ერთს გუბერნიის ს ხელმწიფო ქონებათა მმართველად.

განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელიც შესდგება სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის სტეფანოვისა და ბეთლემის ვართანანცისა და კანცელმანერისაგან, წარუდგინა ქალაქის გამგეობას პროექტი საკლავ საქონლის დაზღვევის შესახებ. ეს პროექტი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ძალიან ხშირად საკლავი საქონელი ავადმყოფთა, იმის ხორცს სწვავენ და ამის გამო საქონელის პატრონი ჰზარალობს. ამ პროექტის ძალით ყველა ის, ვინც საყასოში დასაკლავად მიჰრეკავს, ვალდებულია დააზღვევოს ეს საქონელი; ამასთან სხვილ-ფეხა საქონელს გარდახდება

მოვალეობა ყველასათვის შეისწავლოს თავისი სამშობლო, მისი წარსული, მისი აწმყო... სასწავლებელში ასოს-კი არ უნდა ჰქონდეს დათმობილი უმთავრესი ადგილი, არამედ ცხოვრებას თავისი მრავალ-გვარისა და სხის მოთხოვნილებანიითა. ასე ათავებს ავტორი თავის მართლაც ცოცხალსა და მრავალ ფიქრის აღძრულ წერილს.

დიალ, რომ საყურადღებო და მართლად დედა-ზრია ბ-ნის ტულინოვისა; თანაგრძობის და მოწონების ღირსია მისი სურვილი სამშობლო ენისა და ქვეყნის შესწავლისა. მშრომელ და ნაყოფიერ მოქალაქედ მაშინ გამოვა ყმაწვილი, თუ საზოგადო ცოდნასთან ერთად იძენს საფუძვლიან ცოდნას თავის სამშობლო ლიტერატურისა და ქვეყნისას. მკიდრო სულიერი კავშირი ინტელიგენციასა და ერს შორის არის ერთი დედაბოძრავანი ქვეყნის წარმატებისა. ამ კავშირს ისე არაფერი განამტკიცებს და განამტკიცებს, როგორც ხალხის ენის, ეროვნულ ლიტერატურის სამშობლო ქვეყნის შესწავლა. ენა, ლიტერატურა სარკვე ერის ცხოვრებისა, მისი გრძობა-აზროვნებისა. ამაში გამოიხატება მისწრაფება იმედ სასოება, სულის კვეთება, აღმაფრენა ერისა. ლიტერატურაში ერი, თავისი რჩეულ და ზეგარდმო მადლით ცხებული შეიღების შემწეობით, ისურაობს ტყის თავის თავს.

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიაძისა (კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დიღობით: ბ. ა. ნავასარდიაძე, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი. ე. მ. ჩაქავანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ფელეტონი

სამართლიანი ჩივილი.

ქურნალ „Русская Школа“-ს მისი-ინების ნომერში დაბეჭდილია ტუელიოვის წერილი „Живая мысль“. ავტორი ამ წერილისა მწუხარებითა და გულის ტკენით მოგვითხრობს, თუ რა სუსტადა და არა-სასურველად არის წარმართული გიმნაზიაში სამშობლო ქვეყნის (რუსეთისა) და სამშობლო ლიტერატურის შესწავლის საქმე. მისი აზრით, მოსწავლეები ან სულ არა და ან ძალიან ნაკლებად იცნობენ თავიანთ სამშობლო მწერლებს, ნამეტნავად ახლებს; აგრეთვე ძალიან ნაკლებად და ბუნდოვანად იციან სხვა-და-სხვა კუთხე თავისი სამშობლოსი. რაღა? იმიტომაო, მოგვითხრობს ავტორი, რომ გაკვეთილები ლიტერატურისა და გეოგრაფიის ცოტათაო. ამისათვის, განაგრძობს ავტორი, მრავალი რუსული მასალა, დამახასიათებელი რუსეთის ცხოვრებისა, მისი საქროებისა, მისი ჰერ-ვარამისა, მოსწავლის მიერ შეუსწავლელი რჩებაო. ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ იგი თანაუგრძობლად და განურჩევლად ეკიდება სუვერელაფერს რუსულსაო. ან და რა არის აქ გასაკვირველი? ჰკითხულობს ავტორი. მოსწავლეს, როდესაც იგი სწავლობდა, არ

გააცნეს კარგად და საფუძვლიანად თავისი სამშობლო, სამშობლო ლიტერატურა. ტვინს ულაცებდნენ ლათინურ-ბერძნულით, ლაგორითმებტეორემებით, და იმას-კი არა სცილობდნენ—მიეცათ ცოდნა სამშობლოსი... მწიფდება ქაბუკი, იღებს მოწმობას, რომ ის უკვე „მომწიფებულია“ კუკუ-გონებით. მაგრამ რას ვხედავთ? ის ნახევრად-მოწიფებული, ნელ-მკვებე ყოფილა. საიდგან უნდა გამოვიდნენ მშრომელნი მოღვაწენი სამშობლოს სასარგებლოდ?

სამშობლო ქვეყნის ცოდნა-შესწავლა—აი, ეს არის უპირველესი საგანი, რომელთანაც ხელის-ხელ გაყრილი უნდა მიდიოდეს საზოგადო ცოდნისა და განათლების შექმნის საქმე. უკვე ცნობილია, რომ რუსი კაცი საშუალო წრისა, რომელსაც გაუფლია ყველა სავალდებულო სასწავლებლები, ბევრად ახლო სდგას ფრანგთან, გერმანელთან, ვიდრე რუსის გლეხთან. უნდა გიყვარდეს შენი სამშობლო... მაშასადამე, უნდა შეისწავლო იგი. საზოგადო განათლების შემქნელ სასწავლებელს საგნად აქვს გამოჰზარდოს ახალი თაობა, რომ მას შეეძლოს იმოქმედოს იმ ასპარეზზე, რომელსაც აირჩევს. უნდა ჩაენერგოს მოსწავლეებს ის აზრი, რომ მომავლში, რომელსამე მაღალ სასწავლებელში სპეციალ კურსის შესრულების შემ-

დგე, მოვალენი არიან გაიხსენონ სამშობლო, იღვაწონ მისდა სასარგებლოდ. აბა სწავლა-სამსახური მართო ფულისათვის და პირად სარგებლობისათვის რა საკადრისია შეგნებულ ადამიანისათვისაო?

შეხედვით ინგლისელებს, განაგრძობს ავტორი, თუმცა ჩვენ არა გვაქვს იმათან კეთილ-განწყობილება პოლიტიკურად, მაგრამ თავი დავანებოთ იმათს პოლიტიკას და ავილოთ მხოლოდ „ინგლისელი“, განა ის უფრო არ არის მეტად ჰატივ-საცემი და ღირსი ჩვენის თანაგრძობისა, ვიდრე ფრანგი. ინგლისელი უზომოდ მშრომელია. იგი არა ობდება ლონდონში, თითქმის ინგლისშია-კი. მიღს ვებლენდსა, ინდოეთსა, ავსტრალიასა, სამხრეთ-ამერიკაში, ჰაუაიასა, ფულს იგებს, მდიდრულადა სცხოვრობს, მაგრამ შეხედეთ: არსად არას დროს არ ივიწყებს, რომ ინგლისელია, რომ მას აქვს სხვა და-სხვა მოვალეობა სამშობლოს მიმართ... ეროვნულ თავშეგნებას, მოვალეობათა გამოკვლევას დიდად ეხმარება და ნათელსა ჰყენს სამშობლო ლიტერატურისა და სამშობლო ქვეყნის ცოდნა. ამისათვის უფრო კარგი და ნაყოფიერი არ იქნება, მეტი დრო მოხმარდეს ამ საქმის შესწავლას, თუგინდა რომ შეზღუდდეს სხვა საგნები, მით უმეტეს, რომ ჩემის შეხედულებით, კარგი იქნება ბევრი საგანი სრულიად

დაბატ სოფელი

(მოწერილი ამბები)

ს. თლუღი, (რაქის მაზრა). სოფელი თლუღი მდებარეობს ოცის ვერსის მანძილზე დაბა ონიდან. ადგილობრივი მდებარეობა თუმცა არ უფარვია, მაგრამ ჰავითა და ცივის წყლებით შემკულია. ამ სოფლის მცხოვრებლები, როგორც საზოგადოებრივ მთელს რაქაში, დღეს მშრომელნი არიან. მაგრამ, საუბედუროდ, მათი შრომა არა ჯილდოვდება მიწის ნივთიერების უფარვის გამო. საწყალი გლეხი ღლე და ღამეს ასწორებს შრომაში, მაგრამ წლის საყოფი სასმელ-საქმელი მაინც ვერ მოკავს; თლუღელების სიმდიდრე ღვინო იყო, ამითი ეღვათ სული, ამითი სწევდნენ ცხოვრების უღელს, მაგრამ ეს ხუთი წელიწადია რაც ვენახებს ომი გაუჩნდა და აუარებელი ვაზი გაანადგურა. ვინც დროზედ ასხურა ვენახები ბორდოსის სითხით, იმისი ვენახი გაბობრუნდა და ვინც არა, იმისი კი გახმა. რადგან ბევრს გაუჭირდა წამლის სასყიდელი ფული, ყოველსფრით უიმედო გლეხი შემოუტრიალდა ისევ მიწის მუშაობას, გადაჰყავს ტყე-ველი, დახნა, დასთესა, მაგრამ აქაც უშედეგო ბედმა: არ მოუვიდა იმდენი, რამდენიც დასთესა. ამ უკიდურეს მდგომარეობაში ეხლაც ეს სოფელი, მაგრამ შრომის შედეგები ქედს არ იხრან, შრომას აორკეცებენ და მომავლით იმედობენ. წელს მთელს რაქაში გვალვა იყო. სიმინდმა მოასწრო დაშავება და გვალვას გადურჩა. ვენახებს კარგად ასხია. დაიმედებული გლეხი ამჟამად გაიძახის, წელს აშენი-და-აშენი მომივიდა და, ვნახოთ, აუსრულდება თუ არა ეს მოლოდინი.

ამ გვარად დაქვეითებულს სოფელში სწავლა-განათლება მაინც უნდა იყოს ცოტათოდინი. არც სწავლა გა-

***. კავთისხევი, (გორის მაზრა).** ამ უკანასკნელს წლებში კავთისხეველები დიდს გაჭირვებაში არიან უნაფქობის გამო. მართალია, კავთისხევი ასხედ მეტი წისქვილია, მაგრამ ზაფხულობით წყლის შეწურვის გამო აღარც ერთი აღარა ჰბრუნავს. ამ გვარი წყლის შემცირება, რასაკვირველია, მთებში ტყეების გაჩეხვას მიწვევს, რადგანაც უწინდელი დაბურული ტყეები, სადაც ქივივიც ვერ გაფრინდებოდა, დღეს ტიტველა მთებს წარმოადგენს. სამოთხის თვეს შუაგულს ზაფხულში ისე შეიწურება ხოლმე კავთისხევის საწისქვილო რუები, რომ სულ ორი ან სამი წისქვილი ძლივს-ღა ღრიტინებს და დიდი საქმეა, თუ ღლე-ღამეში ერთი, ან კიდ ნახევარი დაფქოს, ისიც ისე ჰღერდავს, რომ გაცრის შემდეგ ნახევარი ფქვილი აღარა დგება და მისდით უბარაქოდ მთელის წლის ნაშრომ-ნაღაწი. ამას გარდა, წისქვილები ვერ ასწობენ ყველა მოსაფქავის დაკმაყოფილებას და სოფელში ჩუმი შიმშილი ჩნდება. არც ისე ახლო სადმე არის წისქვილები, რომ იქ წაიღონ და ყოველამ დროს არის ერთი საშინელი ვაი ვაგლახი და ჟრიაშული, რომელიც ხშირად ჩხუბსა და კეტის ტრიალზედ გადადის ხოლმე, — არა, მე უნდა დავაყარო წისქვილს და არა, მეო. ამ გაჭირვების ასაცდენად ურიგოს არიზმენ, შეიკრიბოს ერთად რამდენიმე კომლი, გამოიღონ ფული და საერთოდ იყიდონ მანქანის წისქვილი, რომელიც ძვირად არა ჯდება და, როგორც გავიგეთ, ნაწილ-ნაწილად შეიძლება ფულის გარდახდა. წისქვილი თავის საფასურს ერთს წელიწადსავე აიღეს, რადგანაც მუშტარი ნიადავ ყოვლებს, და შემდეგ წისქვილის შემოსავალი პატრონებს საკუთრივ დარჩება.

***. სოფ. საღალაშენი.** არც წრე-ვანდელმა მარაიამობამ ჩაიარა ისე, რომ ოსებსა და ქურდ-ბაცაცებს არაფერი აეწაზნათ მლოცველთაგან. 14 მარია მოზისთვის ღამის მიწვევებსა და სავაქროდ მოსულ ხალხს მოჰპარეს: საბნები, ქუდები, ჩოხები, ფარნები, და სხვა. როდესაც ორ მანდილო-სანს ხდიდნენ საბანს, გაიგეს, მაგრამ შიშით დაყვირება ვერ მოახერხეს. ქურდები რომ გაშორდნენ ნადევლით, მამაკაცები მხოლოდ მაშინ გამოადიდეს, მაგრამ გვიანდა იყო. ოსები ცასა და დედამიწას შუა გამქრალიყვნენ.

ამავე დამეს ზოგიერთა ფარნის გამოიდევლებმა გარეგარეხედ, როცა მომეტებულს ფარნებში სანთლები უკვე ჩამქრალიყო, ჩამოიღეს და თავიანთივე გაყიდული ფარნები ისევ თვითონ დაიბარეს, როგორცა სჩანს, ამ ვაჭრებებს მხოლოდ ერთის ღამით მიუყიდნათ ხალხისათვის ფარნები. ვაჭრობა და აღებ-მიცემობაც ასეთი უნდა.

***. ახაგა. (სიღნაღის მაზრა).** ჩვენს ახლო არის სახაზინო ტყე-მინდარი, სათიბები, საძოვრები, რომლიდან გლეხ-კაცს შეუძლიან ისარგებლოს. თუ-კი გაირჯება და იშრომებს, ყველა სახელმწიფო გარდასახად პასუხს ვაცემს, მაგრამ ჩვენ ისეთი დარაჯები გყავს, რომ უფულოდ გლეხს არაფერს არ აძლევენ; აქაურს ტყე-ებში ხშირად შეხვდებით: შინდს, ზღმარტოს, კუნელს, პანტას, მაჟალოს, რომელიც უსარგელოდ ღებება და საცოდავს ხალხს კი ნებას არ აძლევენ მოინახრონ იგი. მართალია, ნება არა გვაქვს ნედლი ხე მოვსჭრაო, მაგრამ ხმელს-კი ვერ დაგვიშლიან; თუ დარაჯმა მუქაში არა დაგვინახარა, ფეხსაც არ შეგვადგმევინებს. ამ რიგად მთელს ზამთარს საშინელ ყინვა-ბაბანებაში ვატარებთ და ჩვენი პატრონი კი არავინ არის.

მაზრის სოფ. მუხრანდგან: „რო-გორც ყველამ უწყის, ქართლში დასახლებულ დუხაბორები ლუკმა პურს ადგილობრივ მემამულეებთან დღიურ მუშაობით ჰშოულობენ. სხვათა შორის, აქაური დუხაბორები თავ. ე. მ. ბაღშიაც ჰმუშაობდნენ. ეს ბაღი ბდებარეობს ციხის ძირში, სად. ქსანიდან 2 ვერსის მანძილზედ. 20 აგვისტოს ამ ბაღში მუშაობდა 5 დუხაბორი, 4 დედაკაცი და ერთი მამაკაცი. საღამოზედ, მუშაობის გათავების შემდეგ, მამულის მოურავის შეიღმა წაართვა დუხაბორებს ფოცხები და სხვა სამუშაო იარაღი, შემდეგ ს. აცა ხელი დუხაბორის ლე-ბედვის 16 წლის ქალს და 4 მებაღის დახმარებით ხშირს ბაღში წაათრია. ახალგაზდა დუხაბორი თეოდორ სტრელიავევი მიჰვარდა მტაცებლებს, მაგრამ ქალს ვერაფერი შეიწვება ვერ აღმოუჩინა, რადგანაც ამ დროს სახეში ქადალით გატენილი თოფი ესროლეს და შეაშინეს. როდესაც სტრელიავევი გონს მოვიდა, ბაღი-დან გამოვარდა და ყვირილი დაიწყო. ყვირილზედ სხვა დუხაბორები მოვარდნენ, მაგრამ ბაღში შესვლა ვერ მოახერხეს, რადგანაც კარები დაკეტული აღმოჩნდა; გარდა ამისა, მებაღეები თოფებს ისვროდნენ. შემდეგ, როდესაც დუხაბორები ბაღში შევიდნენ, იქ აღარც ქალი და აღარც ისინი აღმოჩნდნენ, ვინც ქალი მოიტაცა. ქალი მხოლოდ მეორე დღეს იპოვნეს ტყეში მუხრანდგან 4 ვერსის მანძილზედ ნამუს-ახლილი და შეგინებულნი. დამნაშავენი—მამულის მოურავის შვილი და მებაღეები საღალაგანქრნენ და დღესაც ვერ უბოვნიან. ამავე დღეს დუხაბორებმა ყოველივე ადგილობრივს მამასახლისს შეატყობინეს, მაგრამ რადგანაც ეს უკანასკნელი მეტად დინჯად იქცეოდა, დუშეთში წავიდნენ მაზრის უფროსთან. დუხაბორებს აზრად აქვთ საჩივარი გუბერნატორსაც მიართვან“.

სულზედ ორი შური, წერილ ფეხა საქონელს—ერთი კაპ., მხოლოდ თითო სულ ღირსედ 15 კაპეკია ამ რიგად შედგენილის თანხიდან იმათ, ვისი საქონელიც ავადმყოფი აღმოჩნდება, დასაზღვევი სასყიდელი მიეცემა. კომისიის გამოანგარიშებით, ორთა-შუა რიცხვით ეს გარდასახადი წელიწადში შეადგენს 9—10,000 მან.

***. გზათა სამინისტრომ** განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ დროზედ შეკეთდეს გზატყეცილები, რომლებიც გაყვანილია სუხუმის ოლქიდან ყუბანის და თერგის ოლქებშუა, აგრეთვე დიდი ყურადღება მიაქცეული დაღესტნის ოლქის გზების შესწორებ-გაუმჯობესობის საქმეზედ.

***. ამას წინად ვწერდით,** რომ ტფილისის გუბერნიის და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო ქონებათა გამგებამ მოსთხოვა ტყის უფროსებს ცნობები იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია ამ უმაღლეს გზები ხსენებულს გუბერნიასა და ოლქში. ეხლა, როგორც „ახ. მიმ.“ ილწყება, ზოგიერთს ტყის უფროსს უკვე წარუდგინა ეს ცნობები. სხვათა შორის მარტყოფი-ორის ტყის უფროსის მოხსენებებიდანა სჩანს, რომ ამ ნაწილში გზები მეტად ცუდს მდგომარეობაში ყოფილა. ტყის უფროსის აზრით, საჭიროა შეერთებული იქმნას ტფილის-სიღნაღის გზატყეცილოთ სოფლები: ნორიო, ახალ-სოფელი, მარტყოფი და სხ. საჭიროა აგრეთვე სოფლების საგარე-ჯოს, პატარძელის, ხაშმის ნინო-შენდის შესაერთებლად ხსენებულს გზატყეცილოთ მდ. იორზედ იმ ადგილას, სადაც ნემნცთა ახალშენი მარინფელდია (სართი ქალა), ხიდი იქმნას გაკეთებული.

***. გაზ. „ტფ. ფურ.“** მეტად საზიზღარს ამბავსა სწერენ დუშეთის

თავის წარსულსა, აწმყოსა და მომავალს. იქ შეუნახავს საუკეთესო ნაწარმოებს გონებისა—უმალესი და უკეთესი შობილესი გრძობანი გულისა. ერის ზნე, ჩვეულება, გენიოსობა დაკულია, გრ. ორბელიანისა არ იყოს, ენაში, ლიტერატურაში. ენისა, ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლით ყოველი მოსწავლე გულითა და სულით შეეთვისება წარსულსა და აწმდგომს თავისი ერისა და შეიქმნება მისი ქემშობიტი სულიერი შვილი. ამისათვის ყველა, ვისაც-კი მიანია თავი წვერად თავისი ერისა, მოვალეა იცოდეს თავისი ენა, ლიტერატურა. ამისთვის ყოველ დაწინაურებულს ქვეყანაში სამშობლო ენის ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლა შეადგენს უმთავრესს საგანს ზრუნვისა და ყოველს სასწავლებელში დათმობილი აქვს პირველი ადგილი.

ტულინოვი სწორედ იმასა სჩივის, რომ რუსეთის საშუალო სასწავლებლები არ ასრულებენ თავისი აუცილებელს მოვალეობას... სჩივის, რომ მოსწავლე რუსი მოკლებულია თავისს სამშობლო ლიტერატურისა და ქვეყნის საფუძვლიანად ცოდნას. თუკი მოსწავლე-რუსი საშუალო სასწავლებლებში ისეთს გარემოებებშია, რომ ვერ იძენს თავისს სამშობლოს საკმაო ცოდნას, მაშ რა უნუგეშო და სამწუხარო მდგომარეობაში უნ-

და იყოს ქართველი მოსწავლე ჩვენ-ბურ საშუალო სასწავლებლებში, სადაც შესწავლა სამშობლო ლიტერატურისა, ენისა, ქვეყნისა თითქმის სრულიად მივიწყებულია?!. ბერძნულ-ლათინურსა და ზოგიერთს სხვა საგნებს რომ თავი დაეანებოთ, გინას-ტიკა და გელოზას მეტი გაკვეთილები აქვს დათმობილი, ვიდრე ქართულ ენას. ქართულის ლიტერატურისა, ძველისა და ახლის მწერლებისა და მათის ნაწარმოების შესწავლის ხსენებაც ხომ არ არის.

ათავებს ყმაწვილი საშუალო სასწავლებელს და არ იცის, ვინ იყო შოთა, ბარათაშვილი, ორბელიანი, ყაზბეგი, მოსე ხონელსა და სხვათაც რომ თავი დაეანებოთ. შესაძლოა ჩემად წაიკითხოს ამ მწერალთა ნაწარმოებნი, მაგრამ გარკვეულ შეხებულობას, სწორ მსჯელობას მაინც ვერ შეადგენს, რადგანაც ხელმძღვანელი არა ჰყავს ამ საქმეში...

სამშობლო ისტორიის ცოდნა?... ღმერთმან დაიფაროს ეს ხომ „terra incognita“—ამისთვის. ჩვენი ისტორია მწყველიადით მოკულია იმისთვის. კარლოსები, ჰენრიები, პიპინები, ლიუ-დოვიკები და სიგიზმუნდები მისთვის უფრო ნაცნობია, ვიდრე ჩვენი საამაყო და სასახელი ვახტანგ გორგასლანები, დავით აღმაშენებლები, ირაკლი. ათავებს ყმაწვილი საშუალო სას-

წავლებელს და არ იცის თავისი წარსული, არ იცნობს თავისს ხალხს, ჩიქორთულად ლაპარაკობს თავის ენაზედ. რასაკვირველია, იცნობს ჰეტრეს, ჰავლეს, ბეუეს-ქარ თველებს, მაგრამ სრულიად არ იცნობს ქართულ ერს, როგორც კრებულს, იმისს ძველურ და ზნეობრივ თვისებათ. ამის შემდეგ რად-ღა გვიკვირს, ჩვენი ახალი თაობა რომ მოუმზადებელი გამოდის? რად-ღა გვიკვირს, თუ ის ვერ აკეთებს იმას, რის გაკეთებაც უნდა, ვერ ამბობს იმას, რის თქმაც უნდა. ყველა მოღვაწე უნდა იცნობდეს იმ ერს, რომელშიაც ის გამოდის სამოქმედოდ, უნდა იცოდეს მისი ჰიროგრაფი, ნაკლოვანება-ღირსება და წარსული, ჩვენი მოღვაწე-კი მოკლებულია ამას... თითონვე შეისწავლოს თავისთავად, თითონ იშრომოს და შეიძინოს ცოდნა თავისის სამშობლოსიო, მეტყვეის მკითხველი. ნეტავი ისე ადვილად აღსრულდებოდეს ის, რაც ადვილად ითქმის. „სიტყვა-სიტყვა, საქმე-კი სხვა!“ აბა ჩაუკვირდით, რა მდგომარეობაშია ჩვენი ახალგაზდა ამ მხრივ: ვიდრე საშუალო სასწავლებელშია, გარემოება ხელს არ უწყობს გვარისად არის მაინც გაიცნოს თავისი ლიტერატურა და ქვეყანა: ჯერ ერთი, ახალგაზდაა, არა აქვს ნათლად შეგნებული თავისი მოვალეობა; ინტესიურად არ უღვივის

გულში ნაპერწკალი სამშობლოს სიყვარულისა; მეორე—არავინ არა ჰყავს წამქეზებელი, დამშლელი-კი ბევრია. ოჯახებიც არა გვაქვს ისეთი განათლებული და შეგნებული, რომ პატარამ წაჰბადოს მაგალითს და სახლში იკითხოს ჩვენის მწერლების ნაწარმოებნი. საშუალო სასწავლებლის შემდეგ მოსწავლე მიდის უმაღლეს სასწავლებელში. აქ-კი, მართალია, ეღვიძება სურვილი ქართულის ენისა და ლიტერატურის შესწავლისა. სულითა და გულით არის მოწადინებული კარგად მოემზადოს, რომ რამე სარგებლობა მოუტანოს თანამოძმეებს, მაგრამ ბევრს შემთხვევაში სურვილი სურვილად რჩება, რადგანაც უცხო ქვეყანაში გარდახვეწილს და ბევრჯელ ჩვეულებრივ, ქართველ სიღარიბობის მიზეზით—კუჭ-ცარიელს ბევრი ხელის შემშლელი გარემოება ელოდება წინ... ათავებს ყმაწვილი სასწავლებელს... სამშობლო მოელის იმისგან მშრომელსა და გამოსადგე-მოსიყვარულე შვილს. ნაცნობ-უცნობნი შეჰხარბიან იმისს მოსვლას. მაგრამ რა? ხშირად, ძლიერ ხშირად იმედი უცრუდვდებათ. რაღა? მალა, რომ ყმაწვილი მოუმზადებულია. ჰგონობს იგი თავისს მდგომარეობას, ჰხედავს, რომ მარტო სურვილით ვერაფერი გაკეთდება, ნათლად ეხატება, როგორ არის დასახიჩრებული, გადაგვარების გზაზედ

დამდგარი, გრძობს და გული უკვდება... ბოლოს მხნეობაცა ჰღალატობს, სურვილი მოღვაწეობისა უსუსტდება და თავისის თავის რწმენა ეკარგება...

რაც უნდა იმეცადინოს ჩვენმა ახალგაზდად თავისთვის და თავისის მდგომარეობის შეგნების შემდეგ ეცადოს ამ სიმრუდის გასწორებას, რომელიც სასწავლებელში ეწია, ან ძნელად შესძლებს და ან სრულიად ვერა. ცალ-მხრიობა, გრძობა-გონების უნიადაგოდ მიმართვა, მთელის ბუნების რაღაც უსრულობა, ჩუმი, მაგრამ მწვავე გრძობა იმისა, რომ იგი ჰყოკლობს, და ბევრს შემთხვევაში უვიცია თავისის სამშობლო ლიტერატურის და ქვეყნის ცოდნაში—ყველა ეს ცუდად ჰმოქმედებს ახალგაზდაზედ და ასეაჰს ზნეობრივ-გონებრივად მოღუნება მოქანცვის ბეჭედს.

ამისათვის ხშირი და თითქმის საზოგადოა ჩვენში ორგვარი ტიპი ახალგაზდადებისა: ერთი გამოდის თუ არა ცხოვრებაში, იკარგება, ინთქება იმისს მორევში; აღმერთებს კუჭის მრწამს, ჩინ-ჯგერების ძებნა-ძიებაშია, თანდათან ჰკარგავს იმას, რაც ცოტათოდან მაინც აღვრთოვანებდა ყმაწვილობაში, ხავსი ედება მთელს იმის არსებას, გონებრივ, პროლეტარიატად ხდება. ხშირად ასეთი ტიპი ყმაწვილისა, ვიდრე ცხოვრებაში გა-



გემრიელებითა აქაურებს და თუნდაც რომ გაუგებრივდეთ, უმასწავლებლოდ რას გახდებოდნენ. ოთხი თუ ხუთი წელიწადია, რაც აქ არსებობს სამრევლო სკოლა, რომელსაც არა ჰლირსებია ასეთი სულგრძელი მასწავლებელი, რომ ბავშვისთვის გულდაღებით ესწავლებინა. აქ სულ დროებით მოდიან მასწავლებლები. ამისათვის ძლიერ კარგი იქნება ადგილობრივმა სოფლის მღვდელმა მცარეოდენი ყურადღება მიანიჭოს მიაქციოს სკოლის საქმეს, ჩააყენოს სკოლა სამიწველი პირობებში და ნუ დაუკარგავს ტყუილ-უბრალოდ დროს სწავლის მსურველს მოზარდს თაობას.

ინა თლუღელი

რუსეთი

მიწად-მოქმედების სამინისტრომ უკვე შეიმუშავა პროექტი იმ უმალესის სამთო სასწავლებლისა, რომელიც ეკატერინოპოლში უნდა დაარსდეს. ეს პროექტი ოდესის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს გაეგზავნა თავისი აზრის გამოსათქვამად.

— დღითა სამკურნალო ინსტიტუტში მისაღები ეგზემენები უკვე დასრულდა. შესვლის სურვილი განაცხადა 430 ქალმა, ხოლო მიღებული იქნა სულ 190 ქალი.

— მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის განკარგულებით დაარსებულმა კომისიამ შეიმუშავა ახალი კანონ პროექტი მთა-მინდებში მომუშავეთა დაზღვევის შესახებ. ამავ კომისიის აზრად აქვს საპენსიო კასებიდან ერთად დაარსოს კასები, საიდანაც შემწეობა მიეცემა ავადმყოფ მუშებს. ასეთი კასა დაარსებულ უნდა იქნას ყველა დიდ ქარხანასთან.

— პეტერბურგში არსდება ყრუ-მუნჯთა დამხმარებელი საზოგადოება.

მოვიდოდეს, სიტყვებით ჰგუნდობს და ხარახურობს. ცხოვრებაში-კი?

- „ღარ იმის
- თავისუფლების მალა-ფრახები!..
- „მოყვას—შეწვინა,
- ბოროტ—დევნა,
- საზოგადოების სული აღდგენა!..
- ერთობა—ძობა
- ზნეთ ამაღლება,
- მამულისათვის თავის განწირვა“...

იმათის აზრით, ეხლა „ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას“.

იმათი ცხოვრება თუმცა ფუჭად და უსარგებლოდ მიდის, მაგრამ ისინი მიანიჭებენ, ყოყმობენ, თავი მიანიათ დამჯდარ და ჰქვიან მამულიშვილად; ახალგაზდათა წმინდა აზრებით და მისწრაფებით გატაცებას „ბავშვობას“ და „სულელობას“ ეძახიან—ესენი არიან „სულელ-ბრძენები და კოტრი კრებნი“, როგორც ამას ივ. კერესელიძე ახასიათებს. ზოგიერთი ამ ჯურის ვაგებატონები განდიდების სენითაც არიან. შეპყრობილი. ასე ჰგონიათ, რომ ვითომც დიდის ნიჭისა და გონების პატრონი არიან; იმათი აზრით, საჭიროა მათთვის მხოლოდ აიღონ კალამი, ქალაქი, აცაცუნონ ხელები, რომ მოსქდეს ქალაქზედ ღვარი მარგალიტით ხელის-ხელ საგაგანებელ ლექსისა, პოეზიისა, რომელიც გულსა და სულს დაუტკობს მკითხველ-მსმენელს. მომეტებულ შემთხვევაში, ქართულ ლიტერატურის საბედნიერ-

ამ საზოგადოების წევრობა შეუძლიან ყველას, ვინც-კი ყოველ წლივ ნ მანეთს შეიტანს. საზოგადოებას საგნად ექმნება გაკრებულ ყრუ-მუნჯთ დამხმარება გაუწიოს და სამუშაო უშოვნოს. დამხმარებელთ წესდება უკვე წარუდგინეს მთავრობას დასამტკიცებლად.

— გზათა სამინისტროში აღძრულია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ რკინის გზების დიდ სადგურებზედ დაარსებულ იქნას სადამოს კურსები რკინის გზის მცირე მოსამსახურეთათვის. ამ კურსებზედ სახალხო კითხვები იქმნება გაძარბული ბუნდოვნის სურათებით. მსურველთ ხატვასაც ასწავლიან.

უცხოეთი

რუსეთი და მხრობა. რუსეთის იმპერატორის წინადადებას გამო, რომელიც ჯარის შეტანებას და ახრადის აყრას შეეხება, რუსული გაზეთი „НОВ. ВР.“ სწერს: „საზღვარ-გარეთ ყურნალ-გაზეთების უმეტესობამ რუსეთის იმპერატორის წინადადებას აზრი ვერ გააგო. ბევრმა წინადადებას ისე გააგო, ვითომც რუსეთი ჯარის სრულად გაუქმებას და ახრადის აყრას თხოვლობდეს. წინადადებას შინაარსი კი ასეთს განმარტებას სრულად არ ეთანხმება. ამ შესანიშნავ საბუთის ქაღალდში აღმარა ჯარის სრულად გაუქმების და ახრადის აყრას შესახებ-კი არ არის, ანამედ იმის შესახებ, რომ სახელმწიფოთ იმხედ მეტად აღარ გამარჯვდეს ჯარი, რაც ეს-ჯა ჰქვით. წინადადებაში დაწერილებით არის ჩამოთვლილი ის, თუ რა ზარალი შეუძლიან მოუტანოს მთელ ქვეყანას ახალმა ჯარმა. შინაარსი ამ წინადადებას მოკლეც ეს არის: ამ ჯარს, რაც ეს-ჯა გვეყვს მომატება აღარ უნდა. უნდა გვედინეთ, რომ შედეგში აღარაინ გამარჯვდეს ჯარი, რომელსაც ქვეყნ-

ამერიკის შემოთავაზული შტატები.

მანილადგან „Times“-ს სწერს, რომ მდიდარმა და გაჯერებულმა ვაჭრებმა მიჭმარეს მარგობა საფასობა და სთხოვეს დაგვემარტო, რომ ფილიპინების კუნძულები ესმანიის ხელშივე დარჩეს. მამულიშვილთ... ერთის სიტყვით, შორს, ძლიერ შორს ჰფრინავს ცხოვრებაში გამოსვლამდის მათი ოცნება! ვერ წარმოუდგენიათ, თუ როგორ და რა საბუთით სჩაგრავს მდიდარი ღარიბს, ძლიერი—სუსტს, ბოროტი—კეთილს... დიად, ასეთია ახალგაზდა გული, მჩქეფარე წმინდისა და შეუღლებელის სისხლით, გული გაურყვნილი!.. ამ ჯურის ახალგაზდაობა ნიჭიერი, მგრძობიარე, ნაკითხი და გონება გახსნილია. მეტი რაღა საჭირო? სურვილი მოქმედებისა, სიყვარული სიმართლისა, მოძვეთა სიბრალული, ამასთან ცოდნა, ნიჭი, მომზადება,—ეს ხომ ყველაფერი ხელთა აქვთ! მხოლოდ საჭიროა სურვილი საქმეთ აქციონ, თეორია პრაქტიკად. და აი აქ, სიტყვის საქმედ გარდაქცევის დროს, იწყებენ კოკლობას. ცხოვრება ეხიდება წინ მთელს თავის სინამდვილით: გაუტანლობა, ლაჩობა, კერძო ინტერესების ძებნა, დაწვრილმანება,—აი, ძვირფასი ნობათი, რომელსაც სთავაზობს ჩვენი ჯერ-ჯერობით დაობებული ცხოვრება ცხოვრებაში გამოსულს ახალგაზრდას. მას-კი სულ სხვანაირად ჰქონდა წარმოდგენილი ჩვენი ცხოვრება, ჩვენებური საქმის ვითარება... სწამდა, რომ არ გამქრალა ჩვენში ჯერ კიდევ „სული მამაპაპური“, რომლითაც წინად და-

სულ იყვნენ „სასო მღვთისა, მცვე-

სათვის ასეთი ზარალი მოსდეს“. ამ-ვე წინადადებას შესახებ „НОВОСТИ“ ამბობს: „შესაძლებელია თუ არა, რომ ეს წინადადება სისრულეში იქმნას მოყვანილი? ჩვენის აზრით ამ წინადადებას სრულად განსორცავლება შეუძლებელია. თუ განფრენისა მოწვევს ეგვალხედ მხელი გადასწვევტი ის იქმნება, რამდენი ჯარი უნდა ჰქვანდეს თეოტეოლო სახელმწიფოს. თუ ჯარის რაოდენობა დამოკიდებული იქმნება მცხოვრებელთა რაოდენობაზედ, მაშინ ზოგ სახელმწიფოს მეტი ჯარი უელება, ზოგს კიდეც ნაკლები. თუ სახელმწიფოთ გადასწვევტი ჯარს აღარ მოუმატონ და იმდენი იყოფიან რამდენიც ეს-ჯა ჰქვით, მაშინ კიდეც ისინი განცხადებენ უგმყოფილებას, ვინც სახელმწიფოთა შორის ჯარის მხრე თანსწორობას ვერა ჰქვადეს. უმთავრესა სახელმწიფოთა ერთობა. თუ ერთმა სახელმწიფოთ უნდა განაცხადოს და განფრენისაში მოხაწილება არ მიიღოს, განფრენისა მოწვევას მნიშვნელობა არ ექმნება. ეგვალს შემთხვევაში ის მანც გამოაშვარჯდება, რომელს სახელმწიფოს რა სწადან და რა უდევს უელო. სხვა სახელმწიფოთა ყურნალ-გაზეთი თუმცა სისარულით მიეგებენ ამ წინადადებას, მაგრამ მანც ბევრმა ეტყით შეხება მას და განაცხადს, რომ იმის სისარულეში მოყვანა ამ უამად შეუძლებელია. სხვათა შორის ფრანგული გაზეთი „Matin“-ი ამბობს: „საფრანგეთის მეგობარმა არ უნდა დაივიწყოს ის, რომ ჩვენს ქვეყნის საზღვრებია ისე არ არის უზრუნველ ყოფილი, როგორც რუსეთის საზღვრებია.“

აშშ-ის განხილული შტატები.

მანილადგან „Times“-ს სწერს, რომ მდიდარმა და გაჯერებულმა ვაჭრებმა მიჭმარეს მარგობა საფასობა და სთხოვეს დაგვემარტო, რომ ფილიპინების კუნძულები ესმანიის ხელშივე დარჩეს.

ლი ერისა: ენა, საყდარი, სარწმუნოება“. ეგონა, რომ თუ ის გაირჯებოდა და დაიწყებდა მოძვეთათვის მოღვაწეობას, თანამოძვენი ხელს მისცემდნენ, თანაგრძობით მიანიჭებდა დაავიჯებდნენ იმის დეწულს... ცხოვრებაში-კი ყველაფერი ეს სულ უკუღმა დახვდა. თურმე სახელოვან მამათა ძენი „წახდნენ ხნობით“; თურმე ჩვენის ცხოვრების ნიადაგზედ მოქმედება, თავის განწირვა, თითქმის წამება ყოფილა. აქ, ამ იმდის გამტყუნებით იწყება ის პესნიმიზმი, რომლითაც შეპყრობილია ჩვენი ახალგაზრდაობა. ამ კერძო იმდის გამტყუნებას თან დაერთო საზოგადო ჩვენის სატუნის ავადმყოფობა: მხნობის მოღუნება, ეჭვი; რომელიც ხშირად უკიდურესს ურწმუნობად იქცევა ხოლმე, ხასიათის უძღურობა, სისუსტე და სხვანი...

იმედის გაცრუებას იმედის გაცრუება მოჰყვება, ცხოვრება ისევ ისე ამოიტვიტვიტებს ჩვენ წამხდარ თავისებათ და ყმაწვილი, როგორც რუსები იტყვიან: „თავს დაჰკარავს“, დაიბნევა... ის-ღა დარჩენია მხოლოდ, რომ მეგობართან მიწერილს წერილებში სწვევლოს თავისი ბედი, იტიროს გაცრუებული იმედები, ნაღველ-გადასხმულ სიტყვებით შესჩივლოს თავის მარტობა სულისა... იგი ისევ ისე რჩება წრფელი, მართალი, ყო-

— გაშინგტონიდან იწყება, რომ ამერიკელებმა აღმარალი შლეი ისევე აღტაცებით და სისარულით მიიღეს, როგორც აღმარალი სამსონიო. რადესაც შლეი ნაზირსედ გადმოვიდა სულს გზას არ ამკედა, ეგვალს ამას სცდალობდა აღმარალთან მისულებით და ხელი ჩამოკრთმია. განსაკუთრებულ ქალებმა აღარ მისცეს მოსვენება აღმარალ შლეის და იმის აფიცრებს. მთელი ნიუ-იორკის ქალები იმდეს ხანო-სადაგურის ნაზირსედ იდგნენ და მოუთქმნდნენ მოკლადნენ ესკადრის მოსკვასადა.

— ამერიკის ჯარი თუმცა გუბადგან უკვე წაიყვანეს, მაგრამ ავადმყოფობა ჯარის-განთა შორის მანც არ მოსპობილა. შირ-იტი ავადმყოფობა დღითი დღე უფრო ძლიერდება. გასკუტის სიტყვით, მანცანკში მყოფ 12,000 განცდაგან ავად 9,000 განცდა მეტია.

დამაკვირდა

კეთილი კეთილთათვის არს კეთილ, განა იგივე კეთილი ბოროტათათვის არს ბოროტ.

პლატონ
...
ჰგუა შურის სასიითა
მკამლათ შესარკებელი,
ცოდნა და საქმის სმარება
მარილი და საწებელი.
დავით გურამიშვილი

რაც ეს არა ჰქმნამიტებთ აქუნდეს, არა იმერობს დიდხანს.

თამარ მეფე

შურნალ-გაზეთებისა

(ამოკრებილი ამბები)
რომის განხილვებმა აღრიცხეს ამას წინად, რომის პაპის კუთვნილებანი ხელოვნური ნივთები 80 მილიონ ფრანკად ჰლირსო და მის მიერ ეკლესიისათვის შეკრებილი თანხა 64 მილიონ ფრანკს შეადგენს. კათოლიკეთა სამღვდლოება მიანიჭ ამ მცირე ფულით

მყოფილი არ არის დამკვირვებელი კაცობა რომელს კათოლიკეთა კრებაზედ ერთი კრების წევრობაანი სჩიოდა თურმე, რომ პაპს გაკატრება მოელოს. ამ დროს მართლაც ერთი ფრიალ საყურადღებო გარემოება გამოირკვა: წმ. პეტრე პავლეს აქამედ წელიწადში 7 მილიონი ფრანკი შემოსავალი მოჰქონდა, ხოლო უკანასკნელს ხანს ამ შემოსავალმა 2 1/2 მილიონ ფრანკამდე იკლო. ამ კლების მიზეზი ის არის, სთქვა თურმე კრებაზედ ხელოვნებულმა წევრმა,—რომ ამერიკიდან და ესპანიიდან ეხლა შემოწირულება აღარ მოდის-რა ომის გამო. საფრანგეთიდანაც შემოწირულების გზაგანა უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში თანდათან კლებულდა. კათოლიკენი ავსტრიისა ძალიან მცირე შემოწირულებასა ჰგზავნიან. როგორც ვტყვობა, არც გერმანია ამ მხრივ გულ-უხვი, რადგანაც პაპი სთხოვ კარდინალებს, წმ. ტრაპეზის შემოსავლის გაძლიერების საქმეს ყურადღება მიაქციეთო. გარდაწვეტილი იყო, წელიწადში ოთხჯერ ეკლესიებში ფული მოკრიბათ, მაგრამ ეს საქმეც ვერ მოხერხდა. აი ექვსი კვირის წინად პაპმა მიანდა ეს კარდინალს, რომელიც გერმანიაში მიდიოდა,—კარდინალს კრებებსა სთხოვეთ, რომ დამემაროს, საგანგებოდ მოჰკრიბოს შემოწირულება. წმ. ტრაპეზის სასარგებლოდაო. კარდინალმა კრებებმა მაშინვე გაუგზავნა კარდინალს 66,000 ფრანკი.

...
უცნაური ამბები მოაქვთ მოგზაურებს ამა-შეთიდან. რუსეთის გაზეთები სწერენ, რომ ვითომ ამ წლის მარტის თვეში თაჯურის-ყურში ადგილობრივ მცხოვრებ არაბებს დაეჭირათ შემთხვევით ზღვის სირინოზი. ეს სირინოზი ნახევრად აღმანიანია თურმე და ნახევრად თევზი, სიგრძით სამაღალ ნახევარი იქნება, მუქი-ყომრალი კანი აქვს ისეთი, როგორც ნინავს; თავი და მხრები აღმანიანისა აქვს, კეფა დაფარულია თხელის ბალნით; ხელები ნამდვილად მიუგავს აღმანიანისა და ხუთი ფითი აბია. ფეხების მაგივრად დიდი თევზის ბოლო აქვს. ეს იშვიათი წყალმწველის არსება არაბებმა იქვე ზღვის ნაპირას მოჰკლეს თურმე. შემდეგ ერთმა მათგანმა ტყავი გააძრო, შიგ მჭირლოდ თივა ჩაჰყარა და გაჰყარა.—ამ სხით წარმო საფრანგეთის ახალშენს ჯობილად, ძალიან ეოცა არაბებს, როდესაც მუშტარო ბევრი გამოუჩნდა და ერთმა ფრანგმა 1,400 ფრანკად იყიდა. შეიძინა რა იგი ფრანგმა, მაშინვე მისწერა საფრანგეთის აკადემიას და შეუთვალა, რომ თუ გნებავთ, ჩამოვიტანო.

ველის კარგის თანამგრძობელი, მაგრამ უკვე გამტყდარი, უღროდ მოხუცებული.

ვიმეორებ, ერთი არა უკანასკნელ მიზეზთაგანი ასეთის დამაფიქრებელ მოვლენისა ის არის, რომ ჩვენი ყმაწვილები აღზრდის მხრივ სამშობლო ნიადაგს ამცდარნი არიან. აი ამის შესახებ, სხვათა შორის, რას ამბობს რუსეთის ცნობილი პუბლიცისტი სლავიანოფილი ი. ს. აქსაკოვი:

„Отрѣшьясь духомъ отъ духа своей родной страны, ч-хъ самъ собой обезличиваетъ, обезсиливаетъ, опорожниваетъ духовно и по необходимости чужимъ—готовымъ, заемнымъ умомъ, чуть не чужой душой. Прибавьте къ этому и привычку думать и говорить на чужомъ языкѣ.“

ამ სიტყვების სიმართლეს თვით ცხოვრება გვიმტკიცებს. ვინც ცოტად მიანიჭ დაჰკვირვებია ცხოვრებას, უსათუოდ არა ერთსა და ორს აღმანიანს შენიშნავდა საზოგადოებაში, რომელიც გრძობა გონებით გამოფიტულნი არიან, სხვისის აზრით აზროვნობენ, თითქმის სხვისი სულითა სცხოვრობენ და ბევრჯელ მხოლოდ იმიტომ, რომ სამშობლო ნიადაგს არიან ამცდარნი და მშობლური სული დაუქარგავთ.

ივ. ვართაგავა



ამისი ნება-რთვა უკვე მოუვიდა და წაიღო კიდევ სირინოზი საფრანგეთში. ამ სირინოზს 1900 წლის გამოცემაზე უზენაესი ხალხს.

საინტორიო და საბიბლიოგრაფიული წიგნი

(წერილი: ნვ)

ტუაზედ ნუსხურად ნაწირი მე XI — XI საუკუნის წიგნი (№ 144, in folio) შეიცავს 424 გზადანს; თავი და ბოლო აქვს და შეიკრებოდა ფურცლები დაწინაურებული და ახუ დაკრებული. ბოლოს ერთს რეკურსს აწერია „ლო“, მასთანავე უკრ აქამდე ხელნაწერს უნდა ქვემოთ 624 გზადანი (39x16=624).

ხელნაწერი ფრად დიდი გზების ჩვენის ლიტერატურისა და ისტორიისათვის. შიგ შეტანილია შესანიშნავი მეთუ საუკუნის მკვლევართვის იხანე ბოლნეის ქადაგებანი და ზრეტოვ კარანტი წმ. ნინოს ცხოვრების ერთს წერილისა. ამ უკანასკნელის წერილის სათაურია:

საკითხავი: მარტვილი: შემდგომად... დღესა: ოთხშაბათსა... აღმართება... პატრიარქისა... ჯურისა... მცხეთას: ...

ამ წერილის შეტანით სხელებულს ხელნაწერში უკვდავს თვის სახელს კინე გოგაი, გადაწერა დიდის ამის კრებულს.

გინ არის გოგაი, წიგნიდან არა სხანს. აღბად მისი ვინაობა და ზრეტოვ წიგნის გადაწერის დრო უკრ ერთს რომელსავე დაკრული ფურცლებზე, მხოლოდ რამდენსავე აღგას გოგაი სწერს:

ა) ივ ქვ აკტ შენ მირითა კრთხვა გოგაი (ივსა ქრისტე აკურთხე შენ მიერთა კურთხევითა გოგაი) (გვ. 269).

ბ) იო შე გოგაი ან (უფალო, შეიწყალებ გოგაი ამენ) (გვ. 92).

გოგაისთან ერთად სხანს ზრეტოვ კინე სტეფანე, ხოლო ეს უკანასკნელი მისი თანამდარეობა, თუ წინანდელის დედის გადაწერა, ახუ შემდგომად, კსეც წვედობით მოცულია.

221 გვერდზე ტექსტისავე ასომთავრულით სწერია:

ივ ქვ შე გლახაკი სფე (ივსა ქრისტე შეიწყალებ გლახაკი სტეფანე) და სხვა ადგილას (ხეხეხულ ვარიანტის ტექსტის შუას) „სტე“ (სტეფანე).

შეიძლება ეს სტეფანე იყოს ერთი მე-V-VII საუკუნის მთარგმნელთაგანი სტეფანე, რომლის შესახებ მომდგარი ზაქარია სწერს, რომ კეთუშებსა და გიორგიზედ უწინაესს გამოხსნდენ მთარგმნელნი დაკითხა და სტეფანე, იგინი წავიდნენ იერუსალიმს, შეისწავლეს ენა ბერძნული და არაბული და პირველად თარგმნეს რადენიმე წიგნი ბერძნულად და არაბულად დიდის შრომითა და რუდუნებით. მათი ნათარგმნი, ხოლო გადაწერათგან გაწეილია, წიგნები შემდგომ შეასწორეს კეთუშებსა და გიორგი მთაწმინდელს.

შემდეგი დროის გადაწერებები და დნებანი მთარგმნელების (და, სხივად გადაწერის გვარსაც) არა ქმდინენ და ისხეიბუნენ.

ჩვენ გვერდის, რომ სტეფანე უნდა იყოს ამ კრებულის ავტორი, სხადგანა № 114-სათვის ამოღებულია ზემოთ სხეხეხული გარანტი წმ. ნინოს ცხოვრების ერთს წერილისა.

რადენად საუბრადგება ეს გარანტი

*) ცაგარელი. სვტ. I (გვ. 62) და პილგე. Палест. сбор. (გვ. 38).

ტი, ამას შეიტყობს თვით მსურველი, რომელიც შეადრებს პატრიარქულ თანაშვილის დაბეჭდილს. (ასლი გარანტი წმ. ნინოს ცხოვრების, გვ. 60-67) ჩვენს დაბეჭდილს (ახ. ქვემო).

სხეხეხულ წერილებს გარდა წიგნში არის საკითხავი მთელის წლის საუფლოს დღესასწაულებისა, თქმულნი მხოლოდ იკვლევის მნათობის მიერ და ზრეტოვ ერთი ამოკრთაული წერილი ამ სათაურით: „წიგნი, რომელი დაწერა იოსებ არამთელიმან, მოწვევამან უფლისა ჩუენისა იესო ქრისტისმან“ (გვ. 182).

ამ საკითხავებ შორის არის ზრეტოვში რადენად უკვე მოკისხენეთ, სკითხავი ბოლნისის ეპისკოპოსის იხანესი, ამ იხანე ბოლნელისა, რომლის შრომა შეტანილია ჩვენ მიერ უკვე განხილულს „სკანურს მანუკრამბეჭდავ“. აქედან ამოღებულია ბრძნულნი თქმულებანი იხანე ბოლნელისა ავტორ რამდენი სხანა იხეხება „იხანისა“ „დაბეჭდილ“-ში.

(შემდეგი იქნება)

დებეშა

(რუსეთის დებეშა სააგენტოსაგან).

25 აგვისტო

პეტერბურში. რადგანაც ვაზეთმა „Русь“-ში, რომელსაც ამა წლის 3 ივლისს გამოეცხადა პირველი ვაფრთხილება, წერილში: „დახმარება თუ ტვირთი“ ხელახლა დარღვია კანონი, — შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: გამოეცხადოს ვაზეთ „Русь“ მეორე ვაფრთხილება.

შავის ქირის საწინააღმდეგო კომისია იუწყება: „მიღებულია ცნობების თანახმად, შავი ქირი ბომბეისა და ბომბეის საპრეზიდენტოში ძირივცრცულდება. განსაკუთრებით შავმა ქირმა ფეხი გაიღვა ბომბეის სამხრეთით. შავმა ქირმა თავი იჩინა აგრეთვე გაიდერადლის დაბლობებშიც“.

19 აგვისტოს სმოლენსკში ახლად შემდგარის დრაგუნთა მე-91 ჩერნიგოვის რაზმის უფროსმა შემდეგი უმაღლესი დებეშა მიიღო:

„დღეს დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული მე დავნიშნე თქვენის რაზმის შეფად. დარწმუნებული ვარ, რომ ჩერნიგოვის ჯარის-კაცნი თვისის სამსახურით დაიმსახურებენ და გამართლებენ ჩემს ნდობას.“

ნაკვალავ

სემასტოვსკი. ზღვაოსანთა კრებაზედ ხელმწიფე იმპერატორმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვები: „მე ყოველთვის მიხაროდა სევასტოპოლში მოსვლა და ეხლაც ბედნიერი ვარ, რომ იმპერატრიცასთან ერთად თქვენ შორის ვიყოფი. გამაღობთ, ბატონებო, გულწრფელის მიღებისათვის. ვსვამ თქვენსადღეგრძელოს და ვისურვებ შავის ზღვის ფლოტის გაძლიერებას“.

მათი უდიდებულესობანი ბრძანდებოდნენ ინკერმანის მონასტრში, სადაც სამღვდლოეზა მიეგებათ. საუზმის შემდეგ მათმა უდიდებულესობამ დაათვალიერეს იქვე დაარსებული ქარხანა და საზღვაო საავადმყოფო.

მაინი. კინერის უკანასკნელი დებეშა იუწყება, რომ ხალიფის ჯარი

დავიმორჩილე და ბევრი ტყვე ჩაივდე ხელთაო. ცხენოსნთა ჯარი დაედგინა ხალიფს, რომელიც მხოლოდ 140 კაციტურთ კარდოვა ნისაქენ გაემართაო.

პარიში. ვაზეთები ამბობენ: იმ ამბავმა რომ კავენიკმა თანამდებობას თავი ვანება ცუდად იმოქმედა საპოლიტიკო წრებზედ. უმეტესობა თუმცა იმ აზრისაა, რომ 1896 წელს ჩადენილი სიყალბე არ ამტკიცებს დრეფტის სიმართლესაო, მაგრამ მინც ჰეიქრობენ, რომ საჭიროა საქმე ახალმა მოსამართლემ გაარჩოს.

„Echo de Paris“-ი სწერს, რომ გუშინ ფორმა სთხოვა კავენიკს თანამდებობას თავს ნუ დაანებებთო. იმავე ვაზეთის სიტყვით, ცურლინდენი თანახმა იკისროს სამხედრო მინისტრობა. მინისტრები შეიკრიბნენ მოსალაპარაკებლად. სარიენმა ვანაცხადა, რომ ქ-ნ დრეფტისაგან მივიღე თხოვნა იმის მეუღლის საქმის ხელახლა გარჩევის შესახებო. სარიენმა მიპმართა სამხედრო მინისტრს და სთხოვა გამოეგვიზავნეთ ის ოქმი, რომელშიაც ანრის გამოტების ამბავია აწერილი, აგრეთვე საბუთის ქაღალდები დრეფტის საქმისაო. ვამოძიების შედეგს სარიენი აუწყებს მინისტრებს შემდეგ კრებაზედ, როდესაც დანიშნული იქნება სამხედრო მინისტრი.

პარიში. გენერალმა ცურლინდენმა იკისრა სამხედრო მინისტრობა.

პეტერბურგის ბაჟა, 22 აგვისტო

მედიის ღირებულება	განყოფილება	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურთა ბანკისა	—	—	—	217
4 1/2% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა	97	—	—	—
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურთა ბანკისა	—	—	—	—
5% იმავე ბანკისა	—	—	—	—
6% ტფილისის სათავად - აზნაურთა ბანკისა	—	—	—	—
5% იმავე ბანკისა	—	—	—	—
6% ობლიგაცი. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	—	—	—	—
5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი	—	—	—	289 1/2
5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი	248 1/2	—	—	—

განცხადებანი

წინამძღვრინთ-კარის სასოფლო სამეურნეო სასწავლებლისაგან

პირველ სექტემბრიდამ პირველ ოქტომბრამდე ამა წლისა წინამძღვრინთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლაში მიიღებან ჯანმრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიიღაროს, იმან უნდა პირად, ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მმართველს,

ანუ მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვრინთ-კარის (მომრიგებელ მოსამართლეს ქალაქ თბილისში), წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვნების მოწმობა, სინოდის კანტორიდან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული აღმოწერილობა წლოვნების წიგნიდან, და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენს განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურს შეადგენს: 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მეზღობა, მეხოსტობა, ვახის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლისა და აბრეშუმის ქიის მოვლა-მოშენება. მეფუტკრობა და სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკლესიო და საერო ვალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა, და ჩილინგრობისა (სლესარობისა). სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დემამამ, ანუ იმათმა მოადგილემ უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უმოვოს, ჩააცვას და დახუროს. შორის მზრდვან მოყვანილ ყმაწვილებისთვის სოფ. წინამძღვრინთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით

30 შეგირდისთვის საღვური. ყველა საქმეს ამ საღვურისათვის თვით სკოლის კრება განავებს. თითო შეგირდის შესახებად დანიშნულია თვეში შეიდი მანეთი. ყმაწვილს დილა საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით და სწავლის შემდეგ სადილი, ორი კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხო. კვირა-უქმეში კი სამი კერძი. კვირაში ერთხელ ყმაწვილებს საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც მსურს მიიღაროს ყმაწვილი სკოლის საღვურში, იმან უნდა წარმოადგინოს წინათ მთელი წლის შესახებ ფული 84 მანეთი; უკეთუ შეგირდი წლის შესრულებამდე საღვურიდან გავიდა, მაშინ ეს ფული უკან იმათ დედ-მამას აღარ დაებრუნებათ და დარჩება საღვურის სასარგებლოდ.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს რკინის საწოლი, ქვეშავეთ ექვსი ხელი საცვალი, პირისახოცები, ბალიშის პირები, ზეწურები და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანსაცმელი. ერთი საზამთრო და ორი საზაფხული.

(3-უ.-1)

ქალაქის სულით-ავადმყოფთა თავ-შესაფარისათვის

საჭიროა საღვური.

სადგომი ქალაქის განაპირას უნდა იყოს და შესდგებოდეს 15-20 ოთახისაგან დიდის ეზოთი და თუ შეიძლება ბალითაც. განცხადება ტფილისის ქალაქის გამგეობას უნდა გაუგზავნონ.

(3-5.-3)

ტყავის დასარბილებელი აპპრეტურა

ისყიდება ყველგან ყველს დიდ ვაჭართან. მშენებელი საშუალება იმისათვის, რომ ყოველგვარმა ტყავმა შეიღოს ელვარება და არ დასველდეს წყლისაგან. დაუფასებელი რამ არის ქალთა ფეხთსაცმლისათვის, რადგან ტანსამოსს არ ახლავს. მშენებელი ინახავს და ახალს ამგვარებს ყოველ გვარ ტყავის ნაწარმოებს, როგორც მაგალითად, საკვირაო, პორტანს, ცხენის იარაღს, ტყავისაგან დამზადებულს სამხედრო საგნებს, ეტლებს და სხვა. ფასი მეტად ხელმისაწვდენი აქვს. Кожевенная аппретура. (3-8.-5)

საკომერციო კურსები

ქაღალდისა და ვაჭარისათვის (წელი მეჩვიდმეტე) კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, რადგან ქაღალდს, ისე ვაჭარს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მკოდნენი. სწავლის ვათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1898-99 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუჯალტრია (მარტივი, ორ-კაცი და საბანკო), 4) არითმეტიკა სახელობა ჩოთქით, 5) საკომერციო მანქანა, 6) საკომერციო და სათამაშო წესდებანი, 7) მსწრაფლ წერა და წერტილები და შინაინი (исправление дурного почерка). სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემოსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე დილის 10 საათიდან თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრედრიკისა, № 9, სერგეისა და მთის ქუჩაზე, აფთაქის პირდაპირ. პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და მათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სინონის ქუჩაზედ. ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიპმართოს კურსების დამაარსებელს ს. შ. მანუკიანს, ტფილისს. (24-22)